საქართველო

ქ.თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის
გამგეობა
დ ა დ გ ნ ი ლ ე ბ ა

№ 3. 14. 95.
ქ.თბილისი

„ 26 " აპრილი 2006წ

მოქ. ლეილა ხეცურიანის განცხადების განხილვა ბინაზე
ნომრის მინიჭების შესახებ

თანახმად საჯარო რეესტრის 10.04.2006 წლის №18028/2006 ამონაწერისა, მოქ. ლეილა ხეცურიანის სახელზე, საირმის ქუჩა, კორპუსი №12-ში, 140 კვ.მ. ფართიდან ირიცხება 64 კვ.მ. ფართის მქონე ბინა №21.

იგივე ნომრით 76 კვ.მ. ფართის მქონე ბინა ირიცხება მის მეზობელ გიორგი ჟორჟოლიანზეც.

საკითხის მოწესრიგების მიზნით,მოქ. ლეილა ხეცურიანი ითხოვს მის სახელზე რიცხულ 64 კვ.მ. ფართის მქონე ბინას, მიენიჭოს №22.

გამგეობა ადგენს:

დაკმაყოფილდეს მოქ. ლეილა ხეცურიანის თხოვნა და საირმის ქუჩა,კორპუს №12-ში მდებარე, მის სახელზე რიცხულ, 64 კვ.მ. ფართის (140 კვ.მ. ფართიდან) მქონე ბინას მიენიჭოს №22, ხოლო გიორგი ჟორჟოლიანის სახელზე რიცხულ 76 კვ.მ. ფართის მქონე ბინას, (140 კვ.მ. ფართიდან) დარჩეს №21.

ეთხოვოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, თბილისის რეგისტრაციის სამსახურს, მოახდინოს სათანადო ცვლილება სახლის აღრიცხვის საბუთებში.

მიღებული ადმინისტრაციული აქტის გასაჩივრება შეიძლება, ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში, გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ან სასამართლოში, გაცნობის დღიდან ექვსი თვის ვადაში.

გამგებლის მოვალეობის
შემსრულებელი

გ. ქველაძე